ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №7 ივლისი 2015 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

29(12-07) ხს. დიდებულთა და ყოვლადქებულთა, თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი

წმიდა მოციქული პეტრე (სვიმეონი) გალილეველი მეთევზის, იონას ძე იყო. მას განკაცებული უფლის გამოჩენა ძმამ, ანდრია პირველწოდებულმა ახარა და მანვე მიიყვანა იესოსთან. უფლის რჩეულმა ზებედეს ძეებთან ერთად დაუტევა ყოველი და მიჰყვა მესიას.

უკანასკნელი პასექის დროს განკაცებულმა ღმერთმა მოწაფეებს ამცნო: „თქუენ ყოველი დაბრკოლებად ხართ ჩემდა მიმართ ამას ღამეს, რამეთუ წერილ არს: დავსცე მწყემსნი და განიბნინენ ცხოვარნი სამწყოსაჲ მისისანი“. პეტრემ განაცხადა: „დაჲათუ ყოველნი დაბრკოლდენ შენდა მიმართ. ხო მე არასადა დავბრკოლდე“. უფალმა მიუგო: „ამენ გეტყვ შენ, რამეთუ მას ღამესა, ვიდრე ქათმისა ხმობამდე, სამ-გზის უვარ-მყო მე“.

ოცდაათ ვერცხლად გაყიდული უფალი, მართლაც იმავე ღამეს შეიპყრეს გეთსემანიის ბაღში და კაიაფას მიჰგვარეს. შეკრებილებმა იცნეს პეტრე და ამბობდნენ: „ესესაცა მის თანა იყო“. ის კი იფიცებოდა: „არა ვიცი კაცი იგი“. როცა მესამეჯერაც უარყო მაცხოვარი, „მეყსეულად ქათამმა იყივლა და მოიქცა უფალი და მიხედა პეტრეს“. მოწაფეს მოაგონდა მოძღვრის სიტყვები, სინანულმა შეიპყრო, „განვიდა გარეთ და მწარედ სტიროდა“. სინანულის ეს გრძნობა არ დასცხრომია პეტრეს სიკვდილის დღემდე.

ამიერიდან პეტრე ღვთის სიტყვის მხურვალე მქადაგებელი და პირმეტყველ ცხოვართა ერთგული მწყემსი შეიქმნა. სულთმოფენობის დღეს მისმა მადლმოსილმა სიტყვებმა სამი ათასი კაცი მოაქცია ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე.

წმიდა მოციქული მოწამეობრივად აღესრულა რომის სისხლიანი იმპერატორის ნერონის ზეობისას.

პეტრე მოციქულმა დაგვიტოვა ორი ეპისტოლე, რომლებიც ახალი აღთქმის წიგნებშია ჩართული პეტრეს მოწაფის, მარკოზის სახარებაც მის მიერ არის მოწონებული და ნაკურთხი.

წმიდა მოციქული პავლე ისრაელიანი იყო. პავლეს ისე სძულდა ქრისტიანები, რომ „ფრიად მავნებელ იყო ეკლესიათა მიმართ. იერუსალიმში აღძრული დევნის გამო ქრისტიანები პალესტინის სხვადასხვა ადგილებში გაიხიზნენ. პავლემ გამოითხოვა ქრისტიანების დატყვევების ნებართვა და დამასკოში გაემგზავრა. დამასკოს მიახლოებულმა პავლემ ზეციდან გარდამოსული ნათელი იხილა და შეშინებული „დაეცა ქუეყანასა ზედა და ესმა ხმაი: საულ, საულ, რაისა მდევნი მე? ამის შემდეგ უწინდელი ფარისეველი და ქრისტიანთა სასტიკი მდევნელი მტკიცე აღმსარებელი და უფლის გამორჩეული მოციქული გახდა. ნათლისღების შემდეგ მან არაბეთს მიმართა, სადაც გადმოცემით სამი წლის განმავლობაში თავად მაცხოვარი ეცხადებოდა, სჯულს ასწავლიდა, ქრისტიანობის საქადაგებლად აშზადებდა.

სულიწმიდის ბრძანების თანახმად, პავლე მოციქული მარკოზისა და ბარნაბას თანხლებით წარმართთა შორის ქრისტეს საქადაგებლად გაემგზავრა. ქრისტეს არც ერთ მოწაფეს არ დაუომენია იმდენი ვნება, ტანჯვა და წვალება, რამდენიც უფლის ამ რჩეულმა ჭურმა დაითმინა.

უფლის სათნომყოფელი მოციქული მტარვალებმა კესარიაში შეიპყრეს, აქედან კი რომში გაგზავნეს, სადაც 67 წელს იმპერატორ ნერონის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს.

პავლე მოციქულმა დაგვიტოვა 14 ეპისტოლე, რომლებიც „ახალი აღთქმის წიგნებში შედის. ერთ-ერთი სახარებისა და „საქმე მოციქულთას“ ავტორი — ლუკაც მისი მოწაფე იყო.

უფლის სათნომყოფელნი — პეტრე და პავლე თავიანთი ღვაწლით იმდენად გამოირჩნენ ქრისტეს მოწაფეებს შორის რომ ეკლესიამ თავნი მოციქულნი უწოდა წმიდანებს და ერთ დღეს დააწესა მათი ხსენება.

24(7.07) შობა იოანე ნათლისმცემელისა

როგორც წმიდა სახარება (ლუკა. 1,5-80) მოგვითხრობს, იოანე ნათლისმცემლის მშობლები — მღვდელმთავარი ზაქარია და ელისაბედი „იყვნეს... წინაშე ღმრთისა მართალ“, მაგრამ სიბერის ასაკს ისე მიაღწიეს, რომ შვილი არ მისცემია. ერთხელ, როცა ზაქარია იერუსალიმის ტაძარში ღვთისმსახურებას აღასრულებდა, „ეჩვენა მას ანგელოზი უფლისაჲ“ და ამცნო: „შეისმინეს ვედრებანი შენნი, და ცოლმან შენმან ელისაბედ გიშვეს შენ ძე, და უწოდო მას იოვანე“. შეძრწუნებული ზაქარია დაეჭვდა ზეციური მახარობლის სიტყვებში, რისთვისაც დაისაჯა — მეტყველების უნარი წაერთვა.

ახალგაზრდობის ასაკს საკმაოდ გადაცილებული წმიდა ელისაბედი დაფეხმძიმდა. ხალხის დაცინვისათვის თავი რომ აერიდებინა, იგი „იფარვიდა თავსა თვისსა ხუთ თთუე“, სანამ შორეულმა ნათესავმა, ყოვლადწმიდა ქალწულმა მარიამმა არ მოიკითხა.

როცა „ელისაბედისნი აღივსნეს ჟამნი შობისა მისისანი... ესმა გარემოთა და ნათესავთა... და მის თანა იხარებდეს“. მერვე დღეს ჩვილს, მოსეს სჯულის თანახმად, წინადაცვეთეს და აპირებდნენ, მისთვის ზაქარია დაერქმიათ, მაგრამ ელისაბედმა განაცხადა; „არა, არამედ ეწოდოს მაგას იოანე“. ყველანი გაოცდნენ, — ეს სახელი ხომ მის მოდგმაში არავის ერქვა და ზაქარიას სთხოვეს, ენიშნებინა მათთვის, რა უნდოდა ძისთვის ეწოდებინა. მანაც მოითხოვა ფიცარი და დაწერა და თქუა: „იოვანე არს სახელი მისი და დაუკჳრდა ესე ყოველთა“. ღვთის განგებით, ზაქარიას ისევ დაუბრუნდა მეტყველების უნარი, სულიწმიდის მადლით, წინასწარმეტყველებაც დაიწყო და თქვა: „კურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაელისაი, რამეთუ მოჰხედნა და ყო ხსნაჲ ერისა თვისისაჲ; და აღმიდგინა ჩუენ რქაჲ ცხოვრებისაჲ შორის სახლსა მას დავითის მონისა თვისისასა“, ჩვილს კი მიმართა: „და შენ, ყრმაო, წინასწარმეტყველ მაღლის იწოდო, რამეთუ წარუძღუე შენ წინაშე პირსა უფლისასა განმზადებად გზათა მასთა“.

13.07. 2015. სვეტიცხოვლობა — კრება წმ. დიდებულთა ათორმეტთა მოციქულთა

13 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია „წმიდა დიდებულთა ათორმეტთა მოციქულთა კრებას“, სვეტიცხოვლობას აღნიშნავს, პეტრე-პავლობის მომდევნო დღეს ეკლესია ქრისტეს თორმეტ მოციქულთან ერთად იხსენიებს.

კრება წმიდა დიდებულთა ათორმეტთა მოციქულთა კრეფსითობას — ეკლესიის ერთიანობას ნიშნავს.

მაცხოვრის თორმეტი მოციქულის სახელებია: პირველად სიმონ, რომელსაც ეწოდა პეტრე და ანდრეა — ძმაი მისი, იაკობ ზებედესი და იოვანე — ძმაი მისი. ფილიპე და ბართლომე, თომა და მატეოს მეზუერე, იაკობ ალფესი და ლებეოს, რომელსაც ეწოდა თადეოს, სიმონ კანანელი და იუდა ისკარიონტელი, რომელმაც გასცა იგი.

კრება წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა ათორმეტთა მოციქულთა უძველესი დღესასწაულია. ეკლესიას ჭეშმარიტების ამ ქადაგთაგან თითოეული დვაწლის მოსაგონებლად საგანგებო დღე აქვს დაწესებული, მაგრამ პეტრე-პავლობის მომდევნო დღეს ყველა მათგანს ერთად იხსენიებს.

ცნობები ამ დღესასწაულის აღნიშვნის შესახებ IV საუკუნიდან მოგვეპოვება.

ტროპარი: მოციქულნო წმიდანო ევედრენით მოწყალესა ღმერთსა, რათა ცოდვათა შენდობა მოგვანიჭოს და სულთა ჩუენთა დიდი წყალობა.

27(10, 07) მღვდელმოწამე კირიონ II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაჩაგული ერისა და ეკლესიის ქომაგი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავარებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II (1855-1918). სარწმუნოებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გამო 2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმიდა მღვდელმოწამის სახელით იგი წმიდანად შერაცხა. მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში წმიდა მღვდელმოწამე კირიონის დაბადების 160 წლისთავი სრულდება.

წმიდა მღვდელმოწამე კირიონ II სარწმუნოებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძნელი და რთული გზა განვლო.

1886 წელს უფლის რჩეული ბერად აღიკვეცა კირიონის სახელით და ქვათახევის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. ამ პერიოდში ღვთისმსახურების პარალელურად კირიონი მეცნიერულ მოღვაწეობასაც აგრძელებს: კრებს ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს, სწავლობს ხალხის ზნე-ჩვეულებებს, მუშაობს ეკლესია-მონასტრების სიძველეებზე თბილისის საეკლესიო მუზეუმსა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სიძველეთა საცავს იგი უხვად სწირავს ეკლესია-მონასტრების ნესტიან სენაკებში მიკვლეულ და საოჯახო კოლექციებიდან მოპოვებულ იშვიათ ხელნაწერებს.

კირიონმა, რომელიც მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი იყო, 1898 წელს გამოსცა ღაბვის ხეობის ისტორიულ ძეგლთა აღწერილობა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ბევრი იქ დაწერილი ძეგლი მომდევნო ხანებში განადგურდა.

წმიდა მღვდელმთავარი დაუცხრომელი მკვლევარიც იყო. მას ეკუთვნის წიგნად გამოცემული ოთხმოცზე მეტი მონოგრაფია.

კირიონი დიდი სიხარულით მიესალმა 1917 წლის 12 მარტს საქართველოს ავტოკეფალიის გამოცხადებას. ამ აქტით გახარებულმა ქართველმა მღვდელმთავარმა რუსეთიდან გამოგზავნილ წერილში შემდეგი სიტყვებით მიმართა ქართველ ხალხს: „გილოცავთ ავტოკეფალიას, ხუნდები აეხსნა ჩვენს სრულიად ივერის ეკლესიას, რადგან დამონებული იყო ჩვენი ეროვნული სიწმინდე, მდაბიო ერად იყო ქცეული ქართველი ხალხი, ტანჯვის ცრემლს ჰღვრიდა. ახლა კი სიხარულის ცრემლს ვაფრქვევთ. გაუმარჯოს თავისუფალი ქვეყნის თავისუფალ ეკლესიას.“

ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ ქართველი საერო და სასულიერო პირთა დიდი ნაწილი მოიახოვდა, რომ რუსეთიდან ჩამოეყვანათ საქართველოს ეკლესიის თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი კირიონ II და აერჩიათ მწყემსთავრად. 1917 წლის ზაფხულში საქართველოში დაბრუნდა, ხოლო იმავე წლის 17 სექტემბერს ხმათა უმრავლესობით ახლად-ავტოკეფალიააღდგენილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს.

საქართველოში სარწმუნოებრივი და ეროვნული პრინციპების დამკვიდრებისა და აღორძიებისათვის დაუცხრომლად მებრძოლი წმიდა პატრიარქის მოღვაწეობა ზღუდავდა ეკლესიის და ქვეყნის წინააღმდეგ მებრძოლი ბოროტი ძალების მოქმედებას, 1918 წლის 26 ივნისს წმიდა კირიონ კათალიკოსი მოკლული იპოვეს მარტყოფის მონასტრის საპატრიარქო რეზიდენციაში.

რატომ ვატარებთ გულსაკიდ ჯვარს

გვესაუბრება სამების მამათა მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი ბასილი (მილორავა)

მამაო, რატომ ინება უფალმა ადამის მოდგმის გამოხსნა ჯვარზე გაკვრით?

მხოლოდ მაცხოვრის უცოდველ სულს შეეძლო ჯოჯოხეთის შემუსრვა და მართალთა სულების ამოყვანა. პირველ საუკუნეში ჯვარზე სიკვდილით დასჯა ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი და საშინელი სასჯელი იყო. სწორედ ეს საშინელი სასჯელი მიუსაჯეს იუდეველებმა ჩვენთვის განკაცებულ მაცხოვარს. ამით გამოაშკარავდა, რომ ადამიანის უღმერთობასა და ბოროტებას საზღვარი არა აქვს. მაცხოვარმა ჩვენთვის ჯვარცმითა და აღდგომით მოგვცა მაგალითი: სიყვარულის, მორჩილებისა და თავგანწირვისა. და რომ ამას მოსდევს აღდგომა და დაუსრულებელი, მარადიული ნეტარება, ჯვარი, რომელიც იყო სიკვდილისა და საშინელების მომასწავებელი, იქცა გადარჩენის, სიცოცხლისა და იმედის სიმბოლოდ.

რატომ იწოდება ჯვარი ცხოველმყოფელ ძალად?

ცხოველმყოფელი ძელი, იგივე სიცოცხლის მომნიჭებელი ხე ედემის ბაღში აკრძალული ხის ნაყოფის ჭამამ ადამიანს სამოთხიდან განდევნა და სიკვდილი არგუნა. მაცხოვარმა ჯვარზე ვნებით სამოთხეში დაბრუნება და მარადიული სიცოცხლე მოგვმადლა. როგორც ხისგან იყო სიკვდილი, ხის მეერვე (იგივე ჯვრით) მოგვენიჭა სიცოცხლე.

საიდან მომდინარეობს ქრისტიანული ჩვეულება გულსაკიდი ჯვრის ტარებისა?

მოძღვარი აკურთხებს რა ჯვარს, ამოწმებს მის მართლმადიდებლურ კანონიკას. ამის შემდეგ ხდება იგი სახე და ნიშანი ჯვრისა, რომელზეც ევნო მაცხოვარი და იძენს მის ძალასა და მადლს. ყველა ნაკურთხ ჯვარს აქვს ცხოველმყოფელი ჯვრის ძალა, მაგრამ უმჯობესია გულსაკიდი ჯვარი მფლობელის სახელზე იკურთხოს.

ბევრს სწამს, რომ გიშრის ჯვარი განსაკუთრებით გვიცავს და გვიფარავს ავი თვალისაგან.

ეს ცრურწმენაა. ბოროტებისაგან გვიფარავს არა გიშერი, ან სხვა რაიმე ნივთიერება, არამედ გამოსახულება ჯვრისა, როგორც ქრისტეს სიმბოლო.

ჯვარი სხვადასხვა სახის არსებობს: წმინდა ნინოსი, ბოლნური და ა. შ. არსებობს თუ არა მათ შორის განსხვავება მადლის მოქმედებისა და შეწევნის ძალის მიხედვით?

არსებობს სხვადასხვა სახის ჯვრები, მათი განსხვავებული ისტორიებით, მაგრამ მადლის მოქმედებისა და შეწევნის ძალა მათში ერთია, ძალა ქრისტესი.

მუდმივად ვატაროთ თუ არა ნათლობის ჯვარი?

გაფრთხილების მიზნით, შეიძლება ნათლობის ჯვრის შენახვა, ხოლო ნაკურთხი ჯვარი მუდმივად უნდა ვატაროთ.

რატომ ეძლევა ჯვრის ტარების უფლება ადამიანს ნათლისღების შემდეგ?

ნათლისღების შედეგად, ადამიანი განაგდებს ბოროტს და შეუდგება ქრისტეს. გულსაკიდი ჯვრით იგი აღიარებს, რომ არის ქრისტიანი და ახსოვს ქრისტეს ვნებები. ასევე მას აუცილებლად სჭირდება ჯვრის მფარველობა.

მოვიხსნათ თუ არა ჯვარი ამა თუ იმ ცხოვრებისეულ შემთხვევაში, მაგალითად, ბანაობის დროს?

ჯვარი არასოდეს არ უნდა მოვიხსნათ.

როგორ მოვიქცეთ ჯვრის დაკარგვის შემთხვევაში?

ჯვარს უნდა გავუფრთხილდეთ. დაკარგვის შემთხვევაში უნდა შევინანოთ და ახალი შევიძინოთ.

როგორ მოვეპყრათ დაზიანებულ ჯვარს?

დაზიანებული ჯვარი ტაძარში უნდა მივიტანოთ და გადავცეთ ეკლესიის მსახურს.

შალისა და ხალიჩების საფეიქრო ხელოვნება ხევში

შალისა და ხალიჩების საფეიქრო ხელოვნება ხევში ოდითგანვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ჯერ კიდევ 1908 წლის 4 იანვარს გაიხსნა ხალიჩების შემსწავლელი სასწავლებელი. სასწავლებლის დამაარსებელი იყო გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე 1908-1918 წწ.).

ეს იყო პირველი სასწავლებელი აღმოსავლეთ მთიანეთის რაიონებში. სწავლების ვადა 6 თვე იყო, ხოლო გადასახადი 6 მანეთს წარმოადგენდა. ინსპექტორი ტვერის გუბერნიიდან მოიწვიეს. ამ სასწავლებელს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი საზოგადო მოღვაწე წინამძღვრიშვილი.

მართალია, ამ დროს დაიწყო მასიური სწავლება ხალიჩების ქსოვისა, მაგრამ ხევში დიდი ხნის წინ მისდევდნენ ამ ხელოვნებას, განსაკუთრებით თექის წარმოებას.

ხალიჩების ქსოვის შესწავლა ხევში ხელახლა განახლდა 1970-იანი წლებიდან და, უნდა ითქვას, რომ მართლაც დახვეწილი ხალიჩები გამოდიოდა მოხვეე ქალბატონების ხელიდან. რამდენიმე წელში კი ისევ დავიწყებას მიეცა ეს ხელოვნება.

რაოდენ სასიამოვნო იყო ჩემი აღმოჩენა, როცა გავიგე, რომ სტეფანწმინდაში მცხოვრები ნუნუ მარსაგიშვილი (ქირიკაშვილი) თურმე ისევ ქსოვს ძველებრი მოხეური ორნამენტებით შემკულ ხალიჩებს. ვნახეთ მისი ნამუშევრები. თურმე გასაყიდად ვერ იმეტებს თავის ნახელავს, უფრო ჩუქება უყვარს.

საუბარში ქალბატონმა ნუნუმ გვითხრა, რომ ამ ხელოვნებამ ბავშვობიდან გაიტაცა. თურმე მისი ბებია ქსოვდა ხალიჩებს, აშზადებდა თექას, რომლისგანაც შემდეგ მეცხვარულ ნაბდებს კერავდა. ასევე სპეციალურად მოზელილი ცხვრის ტყავისგან კერავდა ქურქებს (ტულუფებს). ორივე, ნაბადიც და ტულუფიც აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს მეცხვარისათვის სიცივისა და წვიმის დროს.

ბუნებით ხელოვანი გამოუყენებელი მაკულატურისაგან აშზადებს მშვენიერ ვაზებს. არის ქორეოგრაფი და ბატონ გოგი ვალიშვილთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის მოხეური ანსამბლის განვითარებაში. იყო კულტურის სახლის დირექტორი. შესანიშნავად აღზარდა სამი ვაჟიშვილი. მისი ერთ-ერთი შვილი დათო ქირიკაშვილი ცნობილი რაგბისტია. თამაშობდა საფრანგეთის გუნდში.

მართლა მესიამოვნა ამ ქალბატონის გაცნობა. მივხვდი, რამდენი ამისთანა ქალბატონია ხევში, რომელთა გაცნობა მართლაც მისაბაძი მაგალითი იქნება ახალგაზრდა თაობისათვის.

ციკო ფიცხელაური

გიმნაზიის X კლასის მოსწავლე

ჩემი ოცნება

არასდროს მიფიქრია, რომ უნდა ვიოცნებო, რადგან ღმერთის წყალობით, ყველაფერი მაქვს: ჯანმრთელობა, სითბო და ადამიანების სიყვარული...

როდესაც დავფიქრდი რა მაქვს საოცნებო, აღმოვაჩინე, რომ თურმე მეც მქონია ოცნება.

ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრ ადამიანს უჭირს, იმდენად, რომ მშობელს საკუთარი შვილის მკურნალობის საშუალება არა აქვს. სოციალურ ქსელებში ძალიან ხშირად ვხვდები ავადმყოფი ბავშვების სურათებს, რომლებიც ითხოვენ ჩვენს დახმარებას, აქედან გამომდინარე, ჩემი ოცნებაა ისეთ საქართველოში ვცხოვრობდე, სადაც გაჭირვება არ იქნება და ყველანი ბედნიერები იქნებიან!

დაჩი კაზალიკაშვილი

V კლასი

მოზარდთა წიგნიერების პროგლემა



უძველესი დროიდან ადამიანის ცხოვრებაში წიგნს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მე მინდა, რომ წიგნის ისტორიის შესახებ ბევრი ვიცოდე, თქვენც მოგიყვებით პატარა ისტორიას წიგნის შესახებ.

დამწერლობის გამოგონების პირველ ხანებში ადამიანები საწერად ნებისმიერ გამოსადეგ მასალას იყენებდნენ. თანდათანობით დაგროვილი ინფორმაციის გადმოსაცემად საჭირო გახდა ისეთი მასალის მოძებნა, რომელზეც გრძელი ტექსტის ჩაწერა გახდებოდა შესაძლებელი. ამგვარად გაჩნდა პირველი წიგნი, ეს იყო გრაგნილდახვეული ფურცელი. ძველი ეგვიპტელები ფურცლებს პაპირუსის ლერწის ტოტებისაგან აშზადებდნენ.

XI საუკუნეში ევროპაში შემოდის ქაღალდი. XV საუკუნეში იოჰან გუტენბერგმა გამოიგონა დაზგა, რის შემდეგაც დაიწყო წიგნების ბეჭედვა, და ყველა გონიერი ადამიანი საუკუნეების განმავლობაში ცოდნას წიგნის საშუალებით იძენდა.

ახლა კი სამწუხაროდ მდგომარეობა შეიცვალა. ახალგაზრდების მეტ ნაწილს აღარ აინტერესებს წიგნი. მთელი ყურადღება კომპიუტერსა და სხვა თანამედროვე ტექნიკაზე აქვთ გადატანილი. უნდა ვაღიარო, რომ მეც კომპიუტერთან მიმართებაში თავს ვერ ვაკონტროლებ. კომპიუტერის დანიშნულება ხომ ისაა, რომ მან ადამიანის ბრძანებით ინფორმაცია სწრაფად გადაამუშაოს.

ეხ, რა კარგია წიგნი, როგორ დავინტერესდეთ მოზარდები, ვინ მიპასუხებს ამ კითხვაზე?

მე არ მსიამოვნებს, რომ დღევანდელი თაობა ირჩევს კომპიუტერს, წიგნმა არ უნდა დაკარგოს თავისი მნიშვნელობა. კომპიუტერზე თამაშით ვერაფერს მივაღწევთ, ტყუილად დროს ვკარგავთ. წიგნის კითხვით კი, დამიჯერეთ, მართლაც მომავლის თაობა გავხდებით.

ჩვენს გიმნაზიაში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მე და ჩემი ამხანაგები წიგნიერები ვიყოთ. შესანიშნავი სამკითხველო დარბაზი და თანამედროვე სამკითხველო მაგიდები თითქოს გიზიდავს, რომ აქ დაჯდე და წიგნი წაიკითხო. ჩვენზე მზრუნველი ჩვენი ბიბლიოთეკარი მარეხ გუჯარაიძე ყველანაირად ცდილობს დაგვეხმაროს მოსწავლეებს ასაკის მიხედვით წიგნების შერჩევაში. მეუფე იეგუდიელის ძალისხმევით ბიბლიოთეკის ფონდი განუწყვეტლივ იზრდება და ჩვენს ბიბლიოთეკაში უკვე 1500-ზე მეტი წიგნია.

ჩემს გიმნაზიელებს ბოდიში მინდა მოვუხადო, ჭკუის სწავლებასავით გამომდის, მაგრამ მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ, სიკეთე მინდა თქვენთვის, მინდა, რომ ჩემს სამშობლოს ჭკვიანი, განათლებული ახალგაზრდობა ყავდეს და საქართველომ იამაყოს ჩვენით.

მარიამ წიკლაური

გიმნაზიის VIII კლასის მოსწავლე

ჩემი მომავალი



მინდა გავხდე ექიმი, ოღონდ ეს მარტო იმიტომ კი არ მინდა, რომ ექიმი მერქვას, რადგან ეს პრესტიჟული პროფესიაა, არა, მე მინდა ვიყო მართლა კარგი ექიმი, რომელიც ავადმყოფს მარტო საქმითა და წამლით კი არ უშველის, არამედ სიტყვითაც მოარჩენს. რამდენი ექიმია, რომელიც ავადმყოფს ისე უყურებს, როგორც გამორჩენის საშუალებას. თუ კარგად გადაუხდის, მხოლოდ მაშინ მოეკიდება ყურადღებით, თუ არა და, გულგრილად, ბედის ამარა ტოვებს. სიცოცხლის უფლება ყველასა აქვს, მდიდარსაც და ღარიბსაც. ექიმმა უნდა იფიქროს, რომ მდიდარი ყველა საშუალებას იხმარს თავის გადასარჩენად, მას შეუძლია საზღვარგარეთაც წავიდეს და იქ იმკურნალოს. აი ღარიბს კი ჩვენ, ქართველებმავე უნდა ვუშველოთ. ისედაც საქართველოში შობადობის მაჩვენებელი ძალიან დაბალია და თუ ადამიანები ავადმყოფობით უდროოდ დაიღუპებიან, უფრო დავცოტავდებით და მე ეს არ მინდა. საქართველო ძლიერ უნდა იყოს, ეს კი მოხდება მაშინ, როცა ქართველები გავმრავლდებით. საგულისხმო რამე წავიკითხე ცოტა ხნის წინ, ფასანაურის მახლობლად იპოვეს საფლავის ქვა წარწერით: „დედაჩემმა 18 შვილი დაგვტოვა, მე თექვსმეტ შვილს ვტოვებ, შენ? — დედა ასინეთა„. აი, ასეთმა დედებმა გადაარჩინეს საქართველო.

მარიამ ბაკურაძე

VIII კლასი

რა პროფესია ავირჩიოთ?

პროფესიის არჩევა ძალიან ძნელია, რადგან მასზეა დამოკიდებული ადამიანის მომავალი, ამიტომ საჭიროა კარგად დავფიქრდეთ, გვინდა თუ არა ეს პროფესია. გავითვალისწინოთ: საინტერესოა თუ არა ეს ჩვენთვის, გვანიჭებს თუ არა სიამოვნებას, როდესაც ამ საქმეს ვაკეთებთ. რაში გვჭირდება პროფესია, რომელიც არ მოგწონს და არ გსიამოვნებს ამის კეთება?

უნდა დავფიქრდეთ, შევძლებთ თუ არა ამ საქმეს, შეიძლება იყო სუსტი და ამ პროფესიის არჩევით ჯანმრთელობას შეუქმნა პრობლემა. ასევე ყურადღება უნდა მივაქციოთ, პერსპექტიულია თუ არა ის. პროფესია მხოლოდ პრესტიჟის და ფულის გულისთვის არ უნდა ავირჩიოთ, არამედ იმისთვის, გვაქვს თუ არა სურვილი ვაკეთოთ ეს საქმე მთელი ცხოვრება.

ამ ყველაფერზე უნდა დავფიქრდეთ და ისე მივიღოთ გადაწყვეტილება, რომელიც მთელ ცხოვრებას შეცვლის.

მარიამ ბედოშვილი

IX კლასი

ჩრდილო კავკასიაში მიმობნეული ქართული ძეგლები

(ტყობა — ერდი, ალბი — ერდი)

ეროვნული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები წარსულის ძახილად მოღწეულან ჩვენამდე. ეროვნული ნიადაგის სიღრმისეულ შრეებში განფენილი კულტურის ფესვები დღესაც იძლევა საზრდოს ახალი ტოტების ამოსაზიდად. ჩვენამდე მოღწეული ყოველი ძეგლი კარგ მაგალითს წარმოადგენს იმისას, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა წარმართავდეს გარემოსა და ადამიანის ურთიერთობას. შემოქმედებით პროცესში, თუ როგორი შინაგანი წონასწორობა უნდა იყოს შენარჩუნებული შემოქმედებითი იდეის წარმოშობიდან მის რეალურ გადაწყვეტამდე.

შინაგანი უხილავი ძაფებით ხომ დღესაც ვართ დაკავშირებული იმ უცნობ ხელოვანთა მაღალ სულიერ სამყაროსთან, რომელთა ნიჭი და უნარი ქვათა ჰარმონიად ქცეულა ციხე-ტაძრების სახით. წინაპართა ნამოღვაწეები არ გიმონებს ძალდატანებით, მათი ნიჭის ძლევამოსილება არაა მიმართული ბუნების დასათრგუნავად, პირიქით: იმ უცნობ ხელოვანთა ნამუშაკევ ქვითკირსა თუ ხატწერაში ჩანს უნარი ბუნებასთან ადამიანის შემოქმედების შერწყმისა, მათი ხილვით გამოწვეული აღმაფრენისა — როდესაც ყოველი ძეგლი ემსახურება ლანდშაფტის დინამიკას, გარემობუნების კიდევ უფრო ამაღლებას და გასრულებას.

სწორედ ასეთი განცდები დაგვეუფლა ასასა და არმხის ხეობის ქართული წარმომავლობის ქრისტიანული ძეგლების ხილვისას, სადაც სამეცნიერო ექსპედიცია მოეწყო 1989 წლის აგვისტოს თვეში.

ქართველ და ვეინახ ხალხებს შორის პოლიტიკური, კულტურული თუ ეკონომიკური ხასიათის ურთიერთობანი საკმაოდ ადრიდან იწყება და მას ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. განსაკუთრებული, მჭიდრო კავშირი ჩანს VIII-XII სს-ში, როდესაც საქართველოს საერო და საეკლესიო ხელისუფალნი ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კავკასიონზე მცხოვრებ მთიელთა ქრისტიანიზაციას. ასეთი მიმართულება ნაკარნახევი იყო იმ გარემოებით, რომ ამ დროს მხოლოდ ეს მხარე რჩებოდა მისიონერთა სამოქმედო ასპარეზად.

სწორედ ამ პერიოდშია არჩეული ვეინახების პოლიტიკური დაქვემდებარების ერთ-ერთ ძირითად ფორმად ქრისტიანიზაციის პროცესი, რაზეც თარგიმის ქვაბულში აგებული ქრისტიანული ძეგლები მოწმობენ.

თარგიმის ქვაბული ინგუშეთის ცენტრალურ ნაწილშია მოქცეული. იგი საიმედოდაა დაცული ცენტრალური კავკასიონისა და კლდოვანი ქედებითა თუ მათი განშტოებებით. ქვაბული ძველთაგანვე ყოფილა ადამიანის მიერ ათვისებული და ქისტეთის მთიანეთის ყველაზე დიდი დასახლებული პუნქტები აქ იყო ლოკალიზებული. აქვეა ქართული ქრისტიანული ძეგლებიც ტყობა-ერდი, ალბი-ერდი...

ტყობა-ერდი თარგიმის ქვაბულის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს, ნასოფლარ ხაირახიდან 300 მეტრის დაშორებით. ძეგლის მთელი ტერიტორია გალავნის კედლებით ყოფილა შემოზღუდული, რომლის სამხრეთი ნაწილი უკავია სამნავიან ბაზილიკას მინაშენებით (ეკვდერი, დამხმარე ნაგებობანი).

თარგიმისავე ქვაბულში, მდ. ასას მარცხენა ნაპირას მცირე ზომის ტაფობში მდებარეობს შედარებით ნაკლებად შესწავლილი ეკლესია ალბი-ერდი, რომლისაგანაც ჩვენამდე მხოლოდ დახიანებულ კედლებს მოუღწევია.

ეს ძეგლები აშკარად მოწმობენ ქართულ-ვეინახურ კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობაზე და მთიელთა ქრისტიანიზაციის პროცესზე, რომელიც მთლად უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა, საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა კრედო ნათლადაა გადმოცემული ტყობა-ერდის დასავლეთის ფასადის რელიეფზე, სადაც ქრისტესაგან მარცხნივ ექსპრესიულად გამოხატულ ფიგურას ცალ ხელში ჯვარი უჭირავს, მეორეში მახვილი; რელიეფი შეიძლება ითქვას, საპროგრამო გამოსახულებაა, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად ასახავს არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება მთიელთა საკუთარი პოლიტიკის ორბიტაში მიზიდვის მიზნით იყენებს ქრისტიანობას. ცხადია, ძალდატანება ამ საქმეში რწმენის დანერგვის ფეხდაფეხ მოაბიჯებდა, თუმცა ამის მიუხედავად, როგორც იდეოლოგიური რიგის ფაქტორმა ქრისტიანიზაციამ, როგორც ყველგან ვეინახებზეც გარკვეული გავლენა იქონია.

ციცინო ღუდუშაური

გიმნაზიის პედაგოგი

ვუერთდები ხევის ძლიერ სიწმინდეს

ვუერთდები სიამაყით მზის სხივებს,
ხელშეუხებს გავხდი ლექსის მოტივებს,
სადაც მოვხვდე ყველგან ვიტყვი იგივეს,
ხევის ნახვა მზის წინ უნდა მოგინდეს.

ვუერთდები ცის თვალისმჭრელ სილურჯეს,
მთის წვერიდან ზეცა მიღებს კარიბჭეს,
მე იქიდან ვეტრფი ღვთიურ საუჯეს,
აქ გაოცებს „ხელოვნების“ სიუხვე.

ვუერთდები ხევის ძლიერ სიწმინდეს,
რწმენა არის აქ ნამდვილი სიმდიდრე,
სხვა ქვეყნიდან ვინც არ უნდა მოვიდეს,
ამ თბილ მიწას უცებ შეითავისებს.

ერთხელ ნახავ — ძილშიც ვერ დაივიწყებ,
„უკითხავად“ გულში ადგილს იმკვიდრებს.
თუ აქ გაჩნდი უკვე ნიშნავს ბევრ რამეს,
ქართლს ჭირდები საიდუმლო მეკარედ.

მოხვევ ხარ? — ერი გელის გმირულ სვლებს,
ღმერთი გიცავს, არ დაგტოვებს „ერთადერთს“,
გაგიჭირდა? — კალთას გადაგაფარებს,
გაგამხნევებს — მთებთან გალაპარაკებს.

თამარ ქუქიშვილი

ფოტოკონკურსისათვის

ნიკა ქუშაშვილი
IV კლ.

გზა ტაძრისაკენ

რედაქტორი მანონი გომიაშვილი	სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, ნატო ფიკლაური, უჩა ხუციშვილი.	მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია- პანსიონი